პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

შაბათი,
21
სექტემბერი
1935 წ.
№ 220 (4376)

დღის ნომერში

- — ტყიბული უნდა ჩადგეს მოწინავეთა რიგებში (მეთაური).
- — კონსტანტინე ციოლკოვსკი („პრავდის" მეთაური).
- — ავტომობილის კატასტროფა ლენინგრადის გზატკეცილზე.
- — სსრ კავშირის მეცნიერთა დაჯილდოება ირანის მთავრობის მიერ.
- — ფიზკულტურელ კომკავშირელთა ტრაგიკულად დაღუპვა.
- — იტალია იტოვებს მოქმედების თავისუფლებას.
- — გერმანიის მზადება ომისათვის.
- — „ჰიტლერის სიტყვა—საომარი მოქმედების წინასიტყვაობაა".

ბიბლიოთეკა

ტყიბული უნდა ჩადგეს მოწინავეთა რიგებში

თვე თვეს სცვლის, კვარტალი კვარტალს და ტყიბულის მაღაროები კი ისევ გეგმებს ვერ ასრულებენ. კვლავ გარღვევა და ჩამორჩენა.

ამიერ-კავკასიის სამრეწველო ობიექტების უმეტესობა ტყიბულის ქვანახშირის შემყურეა. მათი ვალდებულებათა კეთილსინდისიერად შესრულება აგრეთვე ტყიბულზეა დამოკიდებული. როგორ იმუშაოს ხაზჰოთის საამაყო ქარხანამ ფერომარგანეცმა, ან რა ქმნან ტფილისის მთელმა რიგმა ქარხნებმა და ფაბრიკებმა, თუ ტყიბულის მთების გულის სიმდიდრე—„შავი ოქრო", ქვანახშირი არ ექნებათ?

დღითიდღე იზრდება ქვანახშირზე მოთხოვნილება და ასევე იზრდება ტყიბულელების ვალდებულებაც. უფრო და უფრო პასუხსაგები ხდება დასახული გეგმის შესრულებისათვის ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა.

ხოლო როგორია მდგომარეობა ტყიბულში? ცუდი. ტყიბული ვერ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებას.

ორგანიზაციული და პარტმასობრივი მუშაობის მოუწესრიგებლობისა და ძველი ხელმძღვანელობის მიერ ტყიბულის დავალების აშკარად უგულებელყოფის გამო, 8 თვის განმავლობაში ქვანახშირის ამოღების გეგმა მთლიანად ერთხელაც არ შესრულებულა. მაგალითად, პირველ კვარტალში ქვანახშირის ამოღების გეგმის შესრულება 67 პროცენტს არ ასცილებია, მეორე კვარტალში გეგმების შესრულება 63,8 პროცენტამდეც კი დავიდა. კიდევ მეტი, ნახშირის ამოღების ივლისის გეგმა მხოლოდ 48,3 პროცენტით შესრულდა, აგვისტოში 48 პროცენტით.

სისტემატურად ეცემა შრომის ნაყოფიერება. წლის პირველ ნახევარში ერთი მუშის შრომის ნაყოფიერება 89,4 პროცენტს აღწევდა, შემდეგ კი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ივლისში ერთი მუშის ნაყოფიერება 70,7 პროც. იყო, აგვისტოში კი ის 66,9 პროცენტამდე ჩამოვიდა. ასევე ცუდ მდგომარეობაშია ქვანახშირის თვითღირებულების საქმეც. თვითღირებულება არა თუ არ მცირდება, არამედ სისტემატურად მაღლა იწევს. ეს გასაკვირიც არაა. როდესაც გეგმები არ სრულდება, შრომის ნაყოფიერება დაცემულია, რასაკვირველია, თვითღირებულებაც იზრდება!

არა სახარბიელო სურათს იძლევა სექტემბერიც. გეგმები კვლავ არ სრულდება. სექტემბრის გასული დღეების გეგმების შესრულება საშუალოდ 50 პროცენტს აღარ გადასცილებია. გარდატეხა ჯერ კიდევ არსად ჩანს.

რაშია საქმე, ამხანაგო ტყიბულელებო? ნუ თუ შეუძლებელია ამ ჩამორჩენის მოსპობა? შეუძლია თუ არა ტყიბულს მოწინავეთა რიგებში ჩადგეს? შეუძლია თამამად. იმიტომ, რომ საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ტყიბულს საუკეთესო მუშაკები მისცა და დაუსახა საბრძოლო ბოლშევიკური პროგრამა.

მართალია, თვეებით აწეწილი საქმის ერთბაშად გამოსწორება იოლი როდია, მაგრამ ბოლშევიკური ნებისყოფა, თავდადებული მუშაობა და, რაც მთავარია, მუშაობის სტალინური სტილი ჩამორჩენას უახლოეს დროში მოუღებს ბოლოს.

ტყიბული მოწინავეთა რიგებში უნდა ჩადგეს!

როგორ მიაღწიონ ამას ტყიბულელებმა? შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებით და პირველ რიგში იმ დამაბრკოლებელ მიზეზთა აღმოფხვრით, რომლებიც გეგმის შესრულებას წინ ეღობება.

უწინარეს ყოვლისა უნდა მოწესრიგდეს მაღაროების ძირითადი კადრებით უზრუნველყოფა. ეს მუდამ მწვავე იარა იყო ტყიბულისათვის. კადრების შენარჩუნების საკითხი დიდადაა დამოკიდებული მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, ხელფასის მოწესრიგებაზე. მართალია, ამ მხრივ ტრესტის ახალმა ხელმძღვანელობამ გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა კიდევ დიდი მუშაობა ამ მიმართულებით.

დაჩქარებული წესით უნდა მოგვარდეს მაღაროებში მექანიზაციის გატარების საქმე. შეუწყნარებელია, როდესაც მთელი რიგი მექანიზმები უქმადაა საწყობებში და არაა გამოყენებული.

უნდა გამტკიცდეს შრომის დისციპლინა. არასაპატიო მიზეზით სამუშაო დროის გაცდენა სასტიკად უნდა აღმოიფხვრას.

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე პროგრესულ პრემიების გაცემას. გამოვლინებულ უნდა იქნენ საუკეთესო დამკვრელები, წარჩინებულები. ამიტომ ფართოდ უნდა გაიშალოს სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, ამ მხრივ დიდი მოვალეობა აწევს პროფესიულ კავშირებს.

ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ტყიბულის წარმოება გამოყვანილ იქნას გარღვევიდან. საჭიროა მხოლოდ თავდადებული მუშაობა, ყველა საშუალებათა გამოყენება და მუშაობის სწორი ორგანიზაცია.

ორდენოსან საქართველოში არ უნდა იყოს არც ერთი ჩამორჩენილი წარმოება! ამ ლოზუნგისათვის ბოლშევიკური ბრძოლის ფართოდ გაშლას მოვითხოვთ ტყიბულის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებისგან.

ამხ. ლევანდოვსკი—

მეორე ქართული დივიზიის მეთაურ ბუაჩიძეს

გულწრფელად მოგესალმებით და მოგილოცავთ თქვენ, მეთაურებს, მებრძოლთ და პოლიტმუშაკებს ყაზბეგის მწვერვალის წარმატებით დაპყრობას, რის მაგალითიც არ არსებობს არცერთი არმიის ისტორიაში. რაც უფრო მაღლა და მაღლა აგვყავს დიდი სტალინის სახელი, მით უფრო მტკიცე ხდება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარი. მეორე ქართულმა შეერთებულმა დივიზიამ დაამტკიცა, რომ მას შეუძლია ყოველგვარი მეტად ძნელი ამოცანა უმაგალითო სისწრაფით და ენტუზიაზმით შეასრულოს. გაუმარჯოს თქვენი დივიზიის მებრძოლებს მეთაურებს, პოლიტმუშაკებს, ისტორიული ლაშქრობის მოწინავეებს!

გაუმარჯოს ბრძენსა და დიდ **სტალინს.**

ლევანდოვსკი.

ნაცრესპუბლიკათა ცაკების წევრთა უფასო სარკინიგზო მიმოსვლის მოწმობების გაბათილების შესახებ

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1935 წლის 20 სექტემბრის დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

თანახმად საკავშირო მთავრობის განკარგულებისა, დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა გაბათილებულად ჩაითვალოს ამიერ-კავკასიის ცაკის, აზერბეიჯანის სსრ ცაკის, სომხეთის სსრ ცაკის და საქართველოს სსრ ცაკის წევრთა სახელზე გაცემული ყველა მოწმობა, რომლებიც ანიჭებენ მათ ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ყველა რკინის გზაზე და წყლის ტრანსპორტით უფასო მგზავრობის უფლებას.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—**მ. ეფენდიევი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

კ. ე. ციოლკოვსკის სამეცნიერო იდეები განხორციელებული იქნება

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველო მთელ საავიაციო საზოგადოებრიობასთან ერთად ღრმა მწუხარებას განიცდის გამოჩენილი მეცნიერის და გამომგონებლის კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკის გარდაცვალების გამო, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა შემოქმედებით მუშაობას მთლიანი ლითონის დირიჟაბლმშენებლობის და რეაქტიური მოძრაობის განვითარების დარგში და რომელმაც თავისი მრავალწლის სამეცნიერო - საგამომკვლეო მოღვაწეობის ყველა ნაშრომი ბოლშევიკების პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას გადასცა.

ავიაციის და დირიჟაბლმშენებლობის მუშაკთა კოლექტივის სახელით სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველო არწმუნებს პარტიას და მთავრობას, რომ განსვენებულის სამეცნიერო იდეები, რომელთა განხორციელება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიძლებოდა და, რომლებიც ამჟამად სათანადოდ ხორციელდება, შემდეგში კიდევ უფრო იქნება განვითარებული და პრაქტიკულად განხორციელებული. ეს იქნება განსვენებული მეცნიერის და გამომგონებლის საუკეთესო ძეგლი.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის უფროსის თანამდებობის დროებით აღმსრულებელი **დონენკო.**

⁂

მოსკოვი, 19 სექტემბერი. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარმა სამმართველომ კალუგაში განსვენებულ კ. ე. ციოლკოვსკის ოჯახს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გამოსთქვამს თავის სამძიმარს და გადასცემს იმ დიდი მწუხარების გრძნობას, რომელიც გამოიწვია სამოქალაქო ავიაციისა და საჰაერო ფლოტის ყველა მუშაკში, ცნობამ მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწის გარდაცვალების შესახებ. (ალს).

იტალია იტოვებს მოქმედების თავისუფლებას

გერმანიის მზადება ომისათვის

პარიზი, 19 სექტემბერი. ბერლინიდან მიღებული ცნობებით, გერმანიის სამხედრო სამინისტრომ ყველა საწარმოს დაუგზავნა საიდუმლო ცირკულარი თხოვნით 8 დღის განმავლობაში აცნობონ მას იმ მუშების სახელი და გვარი, რომლებიც, ომის შემთხვევაში, საჭირო იქნებიან წარმოებისათვის. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ ცირკულარის გაგზავნამ ბერლინის დიპლომატიურ წრეებში სენსაცია გამოიწვია; ამასთან ამ ცირკულარს პირდაპირ უკავშირებენ ჰიტლერის დეკლარაციებს და მუქარას კლაიპედის საკითხზე.

„ჟურნალის" გადმოცემით, ბერლინში დადის ხმები, რომ გერმანიამ პოლონეთთან დასდო „ჯენტლმენური შეთანხმება" კლაიპედის გამო. ფიქრობენ, რომ გერმანიას განზრახვა აქვს მოახდინოს ლიტვის ბლოკადა ზღვიდან და დახუროს გერმანია-ლიტვის საზღვარი. პოლონეთი კი თავის მხრით მიიღებს რკინიგზებზე კონტროლის ღონისძიებებს, რათა უზრუნველჰყოს ბლოკადის წარმატება.

როგორც „ენფორმასიონი" დასძენს, აღმოსავლეთ პრუსიიდან ჩამოსული მოგზაურები მოგვითხრობენ, რომ აღმოსავლეთ პრუსია სავსეა ჯარებით და სამხედრო მასალით (ალს).

ჰიტლერის სიტყვა — საომარი მოქმედების წინასიტყვაობაა"

რომი, 17 სექტემბერი. „ჯორნალე დ' იტალიას" აზრით, „ჟენევაში ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ჰიტლერის სიტყვა წარმოადგენს საომარი მოქმედების წინასიტყვაობას ისედაც აწეწილი - დაწეწილი საერთაშორისო მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება". (ალს).

სასიკვდილო განაჩენები გერმანიაში

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. გერმანელ ემიგრანტთა ყოველკვირეულ გაზეთ „დას ნოიე ტაგებუხის" ცნობებით, სასამართლოებმა 67 სასიკვდილო განაჩენი გამოიტანეს იმავე პერიოდის განმავლობაში 37 კაცს თავი მოჰკვეთეს. (ალს).

აბისინიაში ომის წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობები არ არის

პარიზი, 19 სექტემბერი. „ტანის" კორესპონდენტი ერიტრეაში აღნიშნავს, რომ იტალიის სარდლობის აზრით, მისი მთავარი მტერი იქნება არა აბისინიის არმია, არამედ უგზოობა, მთები და მომარაგების ადგილობრივი წყაროების უქონლობა. აბისინიაში შესულმა არმიამ თან უნდა იქონიოს ყველაფერი, სასმელი წყლით, სურსათით, საჭურველით, საბრძოლო მასალით დაწყებული და ხე-ტყის მასალით, ასანთით, ლურსმნით, ღილებით, ქაღალდით გათავებული.

რათა ჯარის ზურგი საზარგულთა გრძელი ქარავნებით არ გაიჭედოს, იტალიის სარდლობამ უნდა შეამციროს სასაპალნე პირუტყვის რაოდენობა და ჯორების მაგივრად იყოლიოს აქლემები, რომლებიც გაცილებით მეტ ტვირთს ზიდავენ. აქლემის ტრანსპორტის მოწყობა კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ გზები იქნება.

ორი არმია, სწერს კორესპონდენტი, იბრძოლებს აბისინიაში: წინა ხაზზე ჯარისკაცები, მეორე ხაზზე გზის მუშები. ქვემეხთა გრიალს ბანს მისცემს იმ კლდეების აფეთქება, რომლებიც აქლემთა მოძრაობის ხელისშემშლელი იქნება. ფიქრობენ, რომ ზოგ ადგილას შესაძლებელი იქნება დღეში 10 კილომეტრი „საავტომო" გზის გაყვანა (ალს).

თავისუფლებას

რომი, 19 სექტემბერი. როგორც ჟენევიდან იტყობინებიან, გუშინ საღამოს „ხუთის კომიტეტის" მუშაობის დამთავრებისთანავე ამ კომიტეტის წევრი მადარიაგა (ესპანეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში) გაემართა იტალიის წარმომადგენელთან ალოიზისთან, რათა გადაეცა მისთვის კომიტეტის მიერ შემუშავებული წინადადებანი. ალოიზის არ უთქვამს უარი ამ წინადადებათა განხილვაზე, მაგრამ განუცხადა მადარიაგას, რომ ეს ოდნავადაც არ ბოჭავს იტალიის მთავრობის მოქმედების თავისუფლებას; იტალიის მთავრობა იმოქმედებს მიუხედავად იმისა, თუ რა აზრის იქნება და რა გადაწყვეტილებას გამოიტანს ამის შესახებ ერთა ლიგის რომელიმე ორგანო.

„ხუთის კომიტეტის" მიერ შემუშავებულ წინადადებათა შინაარსს საიდუმლოდ ინახავენ, მაგრამ „მესაჯერო" აცხადებს: როგორიც არ უნდა იყოს ეს წინადადებანი, ჩვენი პასუხი იქნება მხოლოდ გარკვეული და მტკიცე უარი". (ალს).

საფრანგეთის პრესა ინგლის-იტალიის შეტაკების შესაძლებლობის შესახებ

პარიზი, 19 სექტემბერი. პრესა სერიოზულად აფასებს ინგლისის და იტალიის შეიარაღებული ძალების თავმოყრას ხმელთაშუაზღვასა და აფრიკაში და მას შესაძლებლად მიაჩნია ინგლის - იტალიის შეტაკება. გაზეთების ცნობებით, ინგლისი შიშობს, რომ იტალია თავის ძალებს, რომლებიც აბისინიის მახლობლად არიან თავმოყრილი, გამოიყენებს ეგვიპტის და სუდანის წინააღმდეგ, სადაც ინგლისს მხოლოდ რამდენიმე ათასეული და თვითმფრინავთა 19 ესკადრილია ჰყავს. პირიქით, იტალიას ჰყავს 200 ათასი კაცი ერიტრეაში და 50 ათასი ტრიპოლიტანიაში, რომლებსაც შეუძლიათ იერიში მიიტანონ ეგვიპტეზე. (ალს).

ომარ სამანტარი— აბისინიის ჯარების სარდალი

ლონდონი, 19 სექტემბერი „ნიუს ქრონიკლი" იუწყება, რომ აბისინიის იმპერატორმა მიანდო ომარ სამანტარს მიიმხროს იტალიის სომალის მცხოვრები ტომები. სამანტარი აბისინიის 20 ათასიანი ჯარის სარდალი იქნება.

სამანტარი ამ რამდენიმე წლის წინათ გაიქცა იტალიის სომალიდან, რადგან იტალიელი ოფიცერი მოჰკლა. (ალს).

პალატის მემარცხენე დეპუტატთა კრებები

პარიზი, 19 სექტემბერი. გუშინ შედგა პალატის მემარცხენე დეპუტატთა დელეგაციების ორი კრება იმ მიზნით, რომ განეხილათ ეკონომიური და ფინანსიური მოთხოვნების პროგრამა. მეორე კრებაზე მონაწილეობას ღებულობდა 40 დეპუტატი. ერთხმად იქნა მიღებული კომუნისტური პარტიის წარმომადგენლის რენო ჟანის წინადადება სახალხო გლეხური ყრილობის მოწვევის შესახებ. ყრილობის მოწვევის ორგანიზაციისათვის გამოიყო კომისია. გადაწყდა მოიწვიონ დელეგაციების ახალი კრება იმისათვის, რომ გამორკვეულ იქნას მათი პოზიცია დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიაში ბიუჯეტის ახალი პროექტის განხილვის დროს. (ალს).

მუსოლინის საუბარი „დეილი მეილის" კორესპონდენტთან

ლონდონი, 18 სექტემბერი. „დეილი მეილის" კორესპონდენტთან საუბრის დროს მუსოლინიმ განაცხადა, რომ მას არ მიუღია ინფორმაცია ერთა ლიგის წინადადებათა შესახებ, მაგრამ თუ გაზეთების ცნობები სწორია, ეს წინადადებანი დაცინვას გამოხატავენ. როგორც ჩანს, — სთქვა მუსოლინიმ, — გვთავაზობენ, რომ იტალიის ექსპანსიის საჭიროება აღმოსავლეთ აფრიკაში დაკმაყოფილებულ იქნას იმით, რომ მას დაუთმობენ „ორიოდე უდაბნოს" — ერთს მლაშოვს და მეორეს ქვიანს. „ეს ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, — დასძინა მუსოლინიმ, — რომ, ერთა ლიგის კომიტეტის აზრით, მე თითქოს უდაბნოების კოლექციას ვაგროვებ", (ალს).

ჟენევა ელოდება

ჟენევა, 19 სექტემბერი. თუ „ჟურნალ დე ნასიონს" დავუჯერებთ, „ხუთის კომიტეტმა" სულ უკანასკნელ მომენტში ღიად დასტოვა ამ „მრჩეველთა" ეროვნებების საკითხი, რომლებიც პროექტის თანახმად, დანიშნულ უნდა იქნან აბისინიის მთავრობასთან. (როგორც იუწყებოდნენ, პირველი რედაქციის დროს გაკეთებული იყო შენიშვნა, რომ ამ პოსტებზე არ შეიძლება დაინიშნონ არც ინგლისელები, არც ფრანგები, არც იტალიელები).

როგორც იუწყებიან, გუშინ ლავალი დაჟინებით სთხოვდა ალოიზის გაემგზავრა რომში და პირადად მოეხსენებინა მუსოლინისათვის „ხუთის კომიტეტის" წინადადებანი. ალოიზიმ თითქოს უპასუხა, რომ ამას იგი მოიმოქმედებს მხოლოდ თვით მუსოლინის ბრძანებით.

მთელი გუშინდელი საღამოს და დღევანდელი დილის განმავლობაში ჟენევა ელოდა სათანადო ცნობას რომიდან, მაგრამ ეს ცნობა არ მოვიდა და ალოიზი დარჩა ჟენევაში. ამაში ხედავენ მორიგ ცუდ ნიშანს: იტალიას არაფრით არ სურს დაანახვოს, რომ იგი იწყებს მოლაპარაკებას „ხუთის კომიტეტის" წინადადებათა გარშემო. ინგლისის „ხმელთაშუაზღვის ფლოტის" გადაადგილება ხმელთაშუა ზღვის წყლებში მხოლოდ მოწმობს მდგომარეობის გაზრდილ სერიოზულობას. საფრანგეთის აზრით, იტალიაში მობილიზაციის დაწყების შემდეგ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რომელსაც შეიძლება ყოველგვარი შედეგები მოჰყვეს. ამასთან ერთად აღნიშნავენ საფრანგეთის პოზიციის ერთგვარ ევოლუციას. ყოველგვარი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ყოველ შემთხვევაში საფრანგეთის ხელმძღვანელი წრეების ნაწილი შიშობს, რომ ამჟამად უკვე ამოწურულია საფრანგეთის საშუამავლო შესაძლებლობანი. საფრანგეთის დელეგაციის ცალკეული თვალსაჩინო წარმომადგენლები ჟენევაში პირადი საუბრების დროს ხმამაღლა გადაჭრით ლაპარაკობენ, რომ იტალიის მიმართ შეიძლება აუცილებელი გახდეს ეკონომიური და ფინანსიური სანქციები (ალს).

იტალიის შეიარაღებული ძალები ლივიაში

ლონდონი, 18 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფი" აცხადებს, რომ ლივიაში ჯარების გაგზავნით იტალია ატარებს ანტი-ინგლისურ ღონისძიებებს. გაზეთის ცნობებით, იტალიიდან ახალი დივიზიების გაგზავნის შემდეგ იტალიის ამ კოლონიაში, რომელიც ეგვიპტისა და სუდანის საზღვრებზე მდებარეობს, იტალიას ეყოლება 70 ათასი ჯარისკაცი. ამას გარდა, იტალიას იქ ეყოლება 375 თვითმფრინავი (ალს).

ანტიიტალიური დემონსტრაცია ტოკიოში

ტოკიო, 19 სექტემბერი. ტოკიოში ჩამოვიდა აბისინიის წარმომადგენელი ბირუ, რომელსაც სადგურზე დაუხვდა 2 ათასი კაცისაგან შემდგარი დემონსტრაცია, მოწყობილი ფაშისტური და პატრიოტული ორგანიზაციების მიერ, პლაკატებით: „ძირს იტალია, გაუმარჯოს აბისინიას" (ალს).

საბჭოთა კავშირში

სსრ კავშირის მეცნიერთა დაჯილდოება ირანის მთავრობის მიერ

მოსკოვი, 19 სექტემბერი. ირანის საელჩო დარბაზობაზე, რომელიც ირანის ხელოვნების მესამე საერთაშორისო კონგრესის დელეგატთა პატივსაცემად გაიმართა, ირანის სახალხო განათლების მინისტრმა ბ-ნმა ალი ახგერ ხეკმეტმა განაცხადა, რომ სახალხო განათლების სამინისტრომ გადასწყვიტა დააჯილდოოს საბჭოთა უდიდესი მეცნიერნი, რომელნიც მონაწილეობდნენ კონგრესში და რომელთაც თავისი უწინდელი სამეცნიერო მუშაობით ხელი შეუწყეს ირანის მცოდნეობის განვითარებას. მათ ჯილდოდ მიეცემათ მკერდზე სატარებელი ნიშანი, რომელიც ირანში დაწესებულია მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში დამსახურებულ მეცნიერთათვის. ამ ნიშანს მიიღებენ შემდეგი საბჭოთა მეცნიერნი: აკადემიკოსი ი. ა. ორბელი და პროფესორები იაკუბოვსკი, ტევერი, ი. მარი, რომასკევიჩი, ბერტელსი და ფრეიმანი.

შემდეგ მინისტრმა დაჯილდოებულ მეცნიერებს გადასცა სახალხო განათლების სამინისტროს სიგელები (ალს).

ირანის საერთაშორისო კონგრესის მონაწილენი გაემგზავრნენ სამშობლოში

მოსკოვი, 19 სექტემბერი. 18 და 19 სექტემბერს ირანის ხელოვნების საერთაშორისო კონგრესის დელეგატთა უმეტესობა სამშობლოში გაემგზავრა. მოსკოვში რამდენიმე დღით დარჩენ ირანისა და თურქეთის დელეგაციები.

ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების 25 წლისთავი

მოსკოვი, 19 სექტემბერი. ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების 25 წლისთავისთვის კავშირგაბმულობის კომისარიატი გამოუშვებს სპეციალური საფოსტო მარკების სერიას—3,10 და 20 კაპიკის ღირებულებისას. ნოემბერში ეს მარკები, რომლებზეც ლ. ნ. ტოლსტოი იქნება გამოსახული, გასასყიდად გამოვა (ალს).

ტრედუნიონთა გენსაბჭოს გენერალური მდივანი ბ-ნი სიტრინი ლენინგრადს ჩამოვიდა

ლენინგრადი, 19 სექტემბერი. 19 სექტემბერს თბომავალ „სმოლნით" ლენინგრადს ჩამოვიდა ინგლისის ტრედუნიონების გენსაბჭოს გენერალური მდივანი ბ-ნი სიტრინი. ბ-ნი სიტრინს, თანახმად მის მიერ მიღებულ კერძო მოწვევისა განზრახვა აქვს სსრ კავშირში გაატაროს თავისი შვებულება. ინგლისელი სტუმარი ლენინგრადში რამდენიმე დღეს დარჩება (ალს).

ბ-ნ სიტრინის განცხადება

ლენინგრადი, 19 სექტემბერი. ლენინგრადს ჩამოსულმა ინგლისის ტრედუნიონების გენერალურმა მდივანმა ბ-ნმა ვალტერ სიტრინმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში სთქვა:

— სსრ კავშირში ჩემი ჩამოსვლის ძირითადი მიზანია სურვილი, რომ გავეცნო ამ ქვეყნის ეკონომიურსა და კულტურულ მშენებლობას და იმ პროგრესს, რაც მას ჰქონდა გასული ათი წლის მანძილზე, ე. ი. მას შემდეგ, რაც მე აქ უკანასკნელად ვიყავი 1925 წელს.. სსრ კავშირში ერთ თვეს დავრჩები და ვფიქრობ, ლენინგრადსა და მოსკოვს გარდა, კავშირის სხვა მსხვილი ცენტრებიც ვინახულო (ალს).

გარდაიცვალა კ. ე. ციოლკოვსკი

კალუგა, 19 სექტემბერი. (ელ. ვა. საკ. დეპ. სააგ. სპეც. კორესპონდენტისაგან). დღის, 22 საათსა და 34 წუთზე, გარდაიცვალა მეცნიერი ორდენოსანი კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახკომსაბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ 1935 წლის 19 სექტემბერს გარდაიცვალა მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე დირიჟაბლმშენებლობის დარგში

ამხ. კონსტანტინე ედუარდის ძე ციოლკოვსკი.

მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწის შემოქმედებითი გზა



კონსტანტინე ედუარდის-ძე **ციოლკოვსკი** დაიბადა 1857 წელს სოფელ იჟევსკის (რიაზანის გუბერნია, სპასკის მაზრა) მეტყევის ოჯახში. ბავშობაში გადატანილმა ქუნთრუშამ მას სიყრუე დაუტოვა. რამაც სკოლაში განათლების მიღების საშუალება მოუსპო. მიუხედავად ამისა, უკვე 17 წლის ციოლკოვსკიმ თავისი მეცადინეობით გაიარა დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის კურსი და შეისწავლა ანალიზური მექანიკა; 22 წლის ციოლკოვსკი საარსებო სახსრებს კერძო გაკვეთილებით შოულობს, ექსტერნად აბარებს გამოცდას და ღებულობს მათემატიკის მასწავლებლის უფლებას.

1880 წელს კონსტანტინე ედუარდის-ძე იწყებს მასწავლებლობას ქალაქ ბოროვსკის (კალუგის გუბერნია) სამაზრო სასწავლებელში. მთელ თავისუფალ დროს იგი ანდომებს ცდებსა და სამეცნიერო მუშაობას ფიზიკის და ასტრონომიის დარგში. მისი ნაშრომებით უკვე მაშინაც დაინტერესდნენ პროფესორები **ჟუკოვსკი და კოვალევსკი.**

1885 წლიდან ციოლკოვსკი თავგამოდებით მუშაობს **ლითონის სამართავი აეროსტატის** პრობლემის გადასაჭრელად.

მის მიერ შემუშავებული პროექტი ვერ განხორციელდა უსახსრობის გამო. ეს იყო რამდენიმე წლით ადრე, „ცეპელინის" პირველი პროექტების გამოჩენამდე. „რუსულმა ტექნიკურმა საზოგადოებამ", რომელსაც ციოლკოვსკიმ მიმართა, გადასწყვიტა, დირიჟაბლების მშენებლობა უაზრობაა, ვინაიდან „აეროსტატი ბუნების კანონების მიხედვით სამუდამოდ ქარის სათამაშოდ უნდა დარჩეს".

90-ან წლების დამდეგს კ. ე. გადადის კალუგაში, სადაც ასწავლის ფიზიკას და მეტად მძიმე ატმოსფეროში მუშაობს, რადგან უფროსები მას მტრულად უყურებენ.

მაგრამ ვერც სანახევროდ შიმშილობამ (მცირე ხელფასით ოჯახსაც არჩენდა და ცდებისათვის საჭირო ხარჯებსაც ეწეოდა), ვერც დახმარების უქონლობამ ვერ გასტეხა კონსტანტინე ედუარდისძის ნებისყოფა და ენერგია. გაზეთ „რუსკოე სლოვოს" შემწეობით მან მოაწყო ლითონის აეროსტატის ასაგები სახსრების შეგროვება. შეგროვდა სრულიად უმნიშვნელო თანხა—500 მანეთი. ამაში გამოხატულება ჰპოვა იმან, რომ მეფის რუსეთის დიპლომიან მეცნიერთა საგრძნობი ნაწილიც კი ზიზღით უყურებდა თავისით ნასწავლ გამომგონებელს, თუმცა მას მსოფლიოში ჰქონდა განთქმული სახელი და მისი ნაშრომები თარგმნილი იყო უცხო ენებზე.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ გახადა შესაძლებელი ციოლკოვსკის ნაშრომების დაფასება, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღო მან ნამდვილი დახმარება თავისი იდეების რეალიზაციის საქმეში.

1920 წლიდან, სამასწავლებლო ასპარეზზე 40-ზე მეტი წლის მუშაობის შემდეგ, კონსტანტინე ედუარდის-ძე მხოლოდ და მხოლოდ სამეცნიერო მუშაობაში ებმება. იწყება მისი ნაშრომების გამოცემა, ეწყობა სპეციალური ლაბორატორია ცდებისათვის. თავდაცვა-ავიაქიმის დახმარებით შენდება მთლიან ლითონის დირიჟაბლის დიდი მოდელი. ამჟამად „დირიჟაბლმშენი" მუშაობს დირიჟაბლის შექმნაზე, რომლის პროექტი შემუშავებულია ამ გამოჩენილი მეცნიერის ხელმძღვანელობით.

1932 წელს კონსტანტინე ედუარდის-ძეს გადაუხადეს მისი დაბადების 75 წლისთავი და სამეცნიერო-საგამომგონებლო მოღვაწეობის 50 წლისთავი. მთავრობამ კ. ე. ციოლკოვსკი დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით, თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა დაარსა მისი სახელობის სასტიპენდიო ფონდი.

კ. ე. ციოლკოვსკის სამეცნიერო შემოქმედება განსაკუთრებით მრავალფეროვანია. დირიჟაბლთა და თვითმფრინავთა მშენებლობასთან, სარეაქტივო მოძრაობასთან ერთად, იგი აგრეთვე სწავლობს აეროდინამიკის, ფიზიკის, ასტრონომიის, ბიოლოგიის და სხვ. პრობლემებს.

კ. ე. ციოლკოვსკის სახით საბჭოთა ქვეყანამ დაჰკარგა გამოჩენილი, უდიდესი ნიჭით დაჯილდოებული მეცნიერი. განსაკუთრებული შეუპოვარი მუშაობით მან საუცხოო შედეგებს მიაღწია თავისი გაბედული ნოვატორული იდეების რეალიზაციაში.

კონსტანტინე ედუარდის-ძეს იცნობდნენ მშრომელნი და უყვარდათ იგი არა მარტო როგორც მეცნიერების ნამდვილ ენტუზიასტს, არამედ, როგორც საბჭოთა მშენებლობის აქტიური მონაწილე, საუცხოო საზოგადოებრივი მუშაკი.

სიკვდილამდე რამდენიმე დღის წინათ მეცნიერების გამოჩენილმა მოღვაწემ წერილით მიმართა ხალხის ბელადს ამხანაგ სტალინს. ამ წერილში იგი სწერდა, „მხოლოდ ოქტომბერმა გახადა შესაძლებელი დაეფასებინათ თავისით ნასწავლის ნაშრომები, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ და **ლენინ-სტალინის** პარტიამ აღმომიჩინეს ნამდვილი დახმარება".

ამ წერილში კონსტანტინე ედუარდის-ძემ გამოსთქვა თავისი უკანასკნელი სურვილი; მთელი თავისი ნაშრომები ავიაციის, მუშხუნების და საპლანეტთაშორისო მიმოსვლის საკითხებზე მან ბოლშევიკების პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას დაუტოვა, დარწმუნებულმა, რომ ისინი—კაცობრიობის კულტურის პროგრესის ნამდვილი ხელმძღვანელნი წარმატებით დაამთავრებენ ამ შრომებს (ალს).

სსრ კავშირისა და რსფსრ რესპუბლიკის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება, რომ 1935 წლის 19 სექტემბერს ქ. კალუგაში გარდაიცვალა ცენტრალური საბჭოს საპატიო წევრი, თავდაცვითი მუშაობის საუკეთესო აქტივისტი, უდიდესი საბჭოთა მეცნიერი - გამომგონებელი, მუშხუნის მოძრაობის პიონერი, საპლანეტთშორისო სივრცის დაუფლებისათვის დაუღალავი მებრძოლი

კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკი

—:—

სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს უფროსს.

გავიგე რა ციოლკოვსკის გარდაცვალების ამბავი, გიცხადებთ ჩემს ღრმა თანაგრძნობას.

უმბერტო ნობილე.

საექიმო კომისიის დასკვნა

1935 წლის 19 სექტემბერს ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელისმომწერლებმა, შევადგინეთ ეს აქტი იმაზე, რომ დღის რიცხვს 22 საათსა და 34 წუთზე დავადასტურეთ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ორდენოსან კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკის გარდაცვალების ფაქტი, რაც მოხდა კალუგის რკინიგზის საავადმყოფოში კუჭის კიბოსაგან გულის მოქმედების მზარდი დაცემის მოვლენების პირობებში.

ექიმები: რ. ე. პრიზანტი
ნ. ი. სიროტკინი
მ. ი. შვედოვა
ე. ა. შეფტერი.
საავადმყოფოს მთავარი
ექიმი ნ. ი. იურაშკევიჩი.

კ. ე. ციოლკოვსკის დამკრძალავი კომისია

მოსკოვი, 18 სექტემბერი. შესდგა ამხ. კ. ე. ციოლკოვსკის დამკრძალავი კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. ა. ს. კისელიოვი (თავმჯდომარე), ნ. ა. ფილატოვი, ნ. ე. დონენკო და ი. ვ. მასლოვი. (ალს).

კ. ე. ციოლკოვსკის დამკრძალავმა მთავრობის კომისიამ დაკრძალვის დღედ დანიშნა 21 სექტემბერი, 17 საათი, ქ. კალუგაში ქალაქის გარეუბნის ბაღში. კომისია ღამით გაემგზავრა ქ. კალუგაში, სადაც საკ. კ.პ. (ბ) ცენტრ. კომიტეტისა და მთავრობის სახელით გვირგვინით შეამკობს ციოლკოვსკის საფლავს.

დაკრძალვაზე აგრეთვე მიემგზავრება მოსკოვის მეცნიერთა დელეგაცია.

დაკრძალვაში მონაწილეობას მიიღებენ სამხედრო ნაწილები, დირიჟაბლი და თვითმფრინავები, რომლებიდანაც გზაში მოსკოვიდან კალუგამდე გადმოყრიან ფურცლებს კ. ე. ციოლკოვსკის ავტობიოგრაფიით და მის მიმოწერას ამხანაგ სტალინთან.

დაკრძალვის ხარჯები სახელმწიფომ იკისრა.

კ. ე. ციოლკოვსკის ცოლს დაენიშნა მუდმივი პენსია 400 მანეთი თვეში.

კ. ე. ციოლკოვსკის არქივი გადაეცემა სამოქალაქო საჰაერო ფლოტს.

კ. ე. ციოლკოვსკის ხსოვნის უკვდავსაყოფად

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს დადგენილება კ. ე. ციოლკოვსკის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.

მოსკოვის სადირიჟაბლო სასწავლო კომბინატს მიეკუთვნება კ. ე. ციოლკოვსკის სახელი.

საჭიროდ იქნა ცნობილი დირიჟაბლმშენზე დაიდგას კ. ე. ციოლკოვსკის ბიუსტი—ძეგლი. სადირიჟაბლო კომბინატში დაწესდება ციოლკოვსკის სახელობის ორი სტიპენდია.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტთან დაწესდება ჯილდო 5.000 მანეთის რაოდენობით ავიაციის დარგში საუკეთესო სამეცნიერო-საგამომკვლევო და სამეცნიერო-ექსპერიმენტალური ნაშრომებისათვის.

სამოქალაქო საჰაერო ფლოტს წინადადება მიეცა გამოსცეს კ. ე. ციოლკოვსკის ნაშრომები (ალს).

კონსტანტინე ციოლკოვსკი

„პრავდის“ მოწინავე, 20-IX

გარდაიცვალა კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკი. ეს ცნობა, ვით ეთერის ტალღა, მოედება მთელს ქვეყნიერებას და მწუხარებით შეკუმშავს მილიონობით ადამიანთა გულს.

მისი სიკვდილი არ ყოფილა სრულიად მოულოდნელი. ყველამ იცოდა, რომ 78 წლის მოხუცი სასიკვდილოდ იყო დაავადებული, რომ მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. სამედიცინო მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები აკეთებდნენ ყველაფერს, რაც კი შესაძლებელი იყო იმისათვის, რომ გაეხანგრძლივებინათ გაცვეთილი ორგანიზმის სიცოცხლე. მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერჯერობით სიკვდილის წინაშე უძლურია თვით ყოვლისშემძლე მეცნიერებაც. აღარა გვყავს კონსტანტინე ედუარდის-ძე ციოლკოვსკი.

ამ დღეებში, როცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის ბიულეტენებს უშვებდნენ, მთელი ჩვენი ქვეყანა დაძაბული მღელვარებით ადევნებდა თვალს მის მაჯისცემას, მისი გულის მუშაობას, მისი სუნთქვის სიხშირეს.

ჩვენი მშრომელი ქვეყანა აფასებს ყოველ თავის მოქალაქეს, ყოველ პატიოსან მშრომელს. აბა, როგორ არ უნდა გვიყვარდეს და არ უნდა ვაფასებდეთ იმათ, ვინც მთელ თავის სიცოცხლეს საერთო საქმის სამსახურს სწირავს, იმათ, ვისაც აქვს გაბედულება ეძიოს ახალი გზები ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილებისა და ძალისაკენ.

მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწე ამხ. ციოლკოვსკი სწორედ ერთერთი ასეთი ადამიანი იყო. აი რატომ იყო იგი საბჭოთა ქვეყანაში სიცოცხლის დროს სიყვარულით გარშემორტყმული, აი რატომ არის, რომ მისი სიკვდილი იწვევს ხალხის მწუხარებას.

იგი, დიდი მოხუცი, გრძნობდა, რომ ტყუილად არ გაუტარებია მძიმე და ხანგრძლივი სიცოცხლე. მან იცოდა, რომ მისი ნაშრომი ხალხს მოხმარდება და სამსახურს გაუწევს ადამიანთა კულტურის პროგრესს. იგი ხომ მოესწრო სოციალისტურ რევოლუციას, ხალხურ ხელისუფლებას, რომელმაც იცის გამოგონებათა, სამეცნიერო გმირობის დაფასება.

დიდმა მეცნიერმა, რომელმაც 60 წელი საშინელ სიღატაკეში, სრული გულგრილობის, დაცინვისა და დევნის პირობებში გაატარა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგრძნო თავი თავისიანებს შორის. „მე ვიგრძენი ხალხის მასების სიყვარული და ეს მმატებდა ძალას განმეგრძო მუშაობა მაშინაც, როცა უკვე დაავადებული ვიყავი“. ასე სწერდა ამ დღეებში ციოლკოვსკი ამხანაგ სტალინთან გაგზავნილ წერილში.

ციოლკოვსკი გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოესწრო თავისი უაღრესად გაბედული პროექტების განხორციელებას. ციოლკოვსკის ლითონის დირიჟაბლები უკვე კეთდება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არიან მოთავებული. და მისი ნათელი გონების უკანასკნელი მოძრაობა იყო აზრი დაუმთავრებელ სამუშაოზე „ავადმყოფობა საშუალებას არ მაძლევს დავამთავრო დაწყებული საქმე“. აი რასა სწუხდა, სიკვდილის დროს, ეს კაცი.

მაგრამ მან ცოტა რამ როდი გააკეთა. მას ეკუთვნის ავიაციის და ჰაეროფრენის, არა მარტო რუსეთის ავიაციის, არამედ საერთოდ ავიაციის და ჰაეროფრენის პაპის საპატიო სახელწოდება იმიტომ, რომ მან პირველმა წამოაყენა მეცნიერულად დასაბუთებული აზრი ჰაერზე მძიმე აპარატით გაფრენის შესახებ. 1890 წელს, როცა ციოლკოვსკი ჯერ კიდევ ბოროვსკის მაზრაში სახალხო მასწავლებლად იყო, იგი გამოდის აეროპლანის მათემატიკურად დასაბუთებული თეორიით. ხოლო პირველი გაფრენა აეროპლანით კაცობრიობამ მხოლოდ 13 წლის შემდეგ განახორციელა.

1887 წელს ციოლკოვსკი გამოვიდა საჯარო განცხადებით ლითონის სამართავი აეროსტატის შესახებ. ხოლო 1895 წელს გამოქვეყნდა ცეპელინის დირიჟაბლის პირველი პროექტი. ციოლკოვსკის ბრალი როდია, რომ მისი პროექტები ფუჭად ჩაივლიდა ხოლმე, რომ მის გენიალურ ნაშრომებს აგდებითა და დაცინვით ხვდებოდნენ.

მას, ციოლკოვსკის ეკუთვნის აეროდინამიკის კანონების დამოუკიდებლად აღმოჩენის სახელი, იმ კანონებისა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია თანამედროვე ავიაცია.

ბოლოს, იგი, ციოლკოვსკი, არის რეაქტიული მოძრაობის თეორიის ფუძემდებელი და საპლანეტშორისო სივრცეთა დაპყრობის პიონერი.

საპლანეტშორისო მოგზაურობა! რა წარმტაც და გრანდიოზულ რასმე უქადის კაცობრიობას ეს ჯერ კიდევ გადაუჭრელი ამოცანა! რამდენი მასალა მისცა მან ბელეტრისტებს ფანტასტიკური რომანებისათვის! მაგრამ ციოლკოვსკი რომანისტი როდია. ამ უაღრესად გრანდიოზულ ამოცანას იგი სამეცნიერო რელსებზე აყენებს, ასაბუთებს მათ მათემატიკური ფორმულებით და იძლევა აპარატის პროექტს მის განსახორციელებლად.

ციოლკოვსკის ეს ნაშრომები ხმას აწვდენს მომავალ თაობებს. ოდესმე ჩვენი შთამომავლობა დაეუფლება კოსმიურ სივრცეებს, იგი დიდად დააფასებს ციოლკოვსკის იმიტომ, რომ მან პირველმა მოგვცა საპლანეტშორისო მიმოსვლის მეცნიერულად დასაბუთებული ჰიპოთეზი.

დიახ, ციოლკოვსკის არ შეეძლო დაემთავრებინა დაწყებული საქმე. ერთი ადამიანის სიცოცხლე ძალიან მოკლეა, განსაკუთრებით თუ ამ სიცოცხლის 60 წელი გატარებულია აღმაშფოთებელი დაცინვისა და გაჭირვების პირობებში.

მაგრამ ჯერ კიდევ ფიხტე ამბობდა, მეცნიერმა, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეში ცდილობდა წინ წაეწია მეცნიერება, მთლიანად შეასრულა თავისი ამოცანაო. ციოლკოვსკიმ შეასრულა თავისი ცხოვრების სამეცნიერო გმირობა. მის საქმეს განაგრძობენ მეცნიერებისა და ტექნიკის ათასობით მუშაკები.

ციოლკოვსკის მოეპოვებოდა უდიდესი ტალანტის ყველა თვისება, მიზანსწრაფვა, ზეადამიანური ენერგია, შორს განჭვრეტის და იმისი უნარი, რომ აზრით გაესწრო თავისი დროის ტექნიკური შესაძლებლობისათვის,—ყველაფერი ეს ამსგავსებდა მას დიდ ამერიკელ გამომგონებელ ედისონს. ედისონივით შეუპოვარი და იმდენადვე გატაცებული იყო ყოვლისშემცველი ტექნიკური იდეით, მაგრამ მეფის რუსეთის პირობებში, იგი გაცილებით ნაკლებ ბედნიერი იყო, ვიდრე მისი ამერიკელი თანამედროვე.

ამ მხრივ ციოლკოვსკი იზიარებდა ყველა იმ ნიჭიერ გამომგონებელთა და მეცნიერთა ხვედრს, რომლებიც გამოსული იყვნენ დაბალი ფენებიდან, ხალხთა წრიდან. განა რევოლუციამდე უკეთესი იყო ფლორის გენიალური რევოლუციონერის მიჩურინის ხვედრი. განა მის აღმოჩენებსა და ნაშრომებს აგდებით და დაცინვით არ ხვდებოდნენ ძალაუფლების მქონე პარაზიტები? და განა ჩვენ ვიცით, ხალხის რამდენი ნიჭიერი და გენიალური შვილი დალუპა, გასთელა, მიჩქმალა წყეულმა ძველმა რეჟიმმა? მხოლოდ სულ ცოტანი, პირდაპირ თითზე ჩამოსათვლელი ერთეულები ახერხებდნენ, მხეცურად მძიმე პირობების მიუხედავად, სიღარიბესა და სიღატაკეში მაინც ემუშავნათ თავისი საყვარელი საქმისათვის, თუნდაც ყრუდ, მაგრამ დროგამოშვებით მაინც ემცნოთ თავის შესახებ ხალხისათვის. ასეთი ერთეულები იყვნენ მიჩურინი და ციოლკოვსკი. ხოლო ათასები იღუპებოდნენ უცნობობაში ისე, რომ ვერ მოესწრებოდნენ ხოლმე დაფასებას.

ერთერთმა იმ მცირერიცხოვან ადამიანთაგანმა, რომლებიც რევოლუციამდე სწერდნენ ციოლკოვსკის შესახებ, სასოწარკვეთილებამდე მისულმა იმის გამო, რომ ვერაფერი გააწყო, რათა წინ წაეწია დიდი მეცნიერის გამოგონებანი, 1914 წელს წამოიძახა:

„ბოროტი სული დასტრიალებს თავს რუს გამომგონებლებს!“.

ჩვენ კარგად ვიცით ამ „ბოროტი სულის“ სახელი—ეს არის ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება. ძველი რუსეთი იყო არა მარტო ხალხთა საპატიმრო, არამედ ტალანტთა სასაფლაოც.

და უაღრესად მოწინავე, „კულტურული“ კაპიტალიზმიც მუდამ აღრჩობდა და ფეხქვეშ სთელავდა ხალხიდან გამოსულ ტალანტებს, არ აძლევდა მათ განვითარების საშუალებას. განსაკუთრებით გარკვეულად მოსჩანს ეს ახლა, როცა ბურჟუაზია, რომელიც ოდესღაც უსწრაფესი ტემპებით ავითარებდა ტექნიკას, ახლა მთელის ძალღონით ცდილობს შეაფერხოს ტექნიკური პროგრესი. იმ კლასს, რომელსაც ახლა ტექნიკა მხოლოდ გამანადგურებელი ომის საწარმოებლად სჭირდება, იმ კლასს, რომელიც აღიარებს ლოზუნგს: ძირს მანქანები, უკან, წერაქვისა და ნიჩბისაკენო—ასეთ კლასს უკვე არ ესაჭიროება გამომგონებლები, ტალანტები, გენიოსები. მას სჭირდება ფაშისტური მახინჯი, ჯალათი, რომელსაც მზადა აქვს გალესილი ცული.

მხოლოდ ჩვენში, სოციალიზმის ქვეყანაშია შექმნილი მოქმედების უფართოესი ასპარეზი ადამიანის გონებისათვის, ადამიანის გენიისათვის, გამოგონებათა და ყოველგვარ აღმოჩენათათვის.

ის დიდება და გულწრფელი პატივისცემა, რომლითაც ჩვენი ქვეყანა ეკიდება ისეთ ადამიანებს, როგორიც მიჩურინი, ციოლკოვსკი, ჟუკოვსკი არიან, აგრეთვე მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების ყველა ადამიანს,—ეს არის მხოლოდ ბუნებრივი გამოხატულება ჩვენი ბოლშევიკური წყობილებისა, რომლის მიზანს კაცობრიობის ბედნიერება წარმოადგენს.

ციოლკოვსკის დირიჟაბლი აშენებული იქნება

ციოლკოვსკის სისტემის დირიჟაბლი წარმოადგენს მთლიან ლითონის გარსს ტალღისებური (დანაოჭებული) ფოლადისაგან. ამ ფოლადის ცალკე ფურცლები, ელექტრონის გზით შედუღებულნი, გავსების დროს ღებულობენ დირიჟაბლის ფორმას.

ციოლკოვსკის სისტემის მთლიან ლითონის დირიჟაბლი სავსებით უზრუნველყოფილია გაზის გადენისაგან. ამას გარდა, ასეთ დირიჟაბლს არ ეშინია ატმოსფერული ნალექებისა და თავისთავად მეტ ხანს გამძლეა. წინასწარი ცდები გვიჩვენებს, რომ მთლიან ლითონის დირიჟაბლები უნდა ვაშენოთ 100-დან 200 ათას კუბიკურ მეტრამდე და მეტი ზომისა.

ამჟამად „დირიჟაბლმშენის“ საკონსტრუქტორო ბიურომ უკვე წარმატებით გადასჭრა ციოლკოვსკის სისტემის მთლიან ლითონის დირიჟაბლის კონსტრუირებისა და აშენების უაღრესად რთული ტექნიკური პრობლემები. წინასწარ შენდება 1.000 კუბ. მეტრის მოცულობის გარსი. ეს მოდელი საშუალებას გვაძლევს საბოლოოდ დავაზუსტოთ წარმოების მეთოდები, შევამოწმოთ გაანგარიშება, კვანძების კონსტრუქცია, აწყობის პროცესის ტექნოლოგია, კადრების სწავლება. თუ გაანგარიშება სწორი გამოდგა, საძირკველი ჩაეყრება დიდი კუბატურის გემს კონსტანტინე ედუარდისძე ციოლკოვსკის სრული სქემის მიხედვით.

„დირიჟაბლმშენის“ საკონსტრუქტორო ბიურო ყოველივე ღონეს იხმარს, რომ მიმდინარე წლის დამლევისათვის უკვე მოხდეს ციოლკოვსკის სისტემის საცდელი დირიჟაბლის პირველი გაფრენა.

„დირიჟაბლმშენის“ ციოლკოვსკის საამქროს საკონსტრუქტორო ბიუროს
უფროსი: **ჯაფარიძე**

ავტომობილის კატასტროფა ლენინგრადის გზატკეცილზე

დაზარალებულთა შორის არიან პოლონეთის საელჩოს მოხელენი.

მოსკოვი, 19 სექტემბერი. 19 სექტემბერს ნაშუადღევის 2 საათსა და 55 წუთზე პოლონეთის მოსკოვის საელჩოს ავტომობილმა ლენინგრადის გზატკეცილზე განიცადა მძიმე ავარია, რომლის დროსაც მძიმედ დაშავდნენ პოლონეთის საელჩოს მეორე მდივანი ბ-ნი კალუსკი და საბჭოთა მოქალაქე, მუშა სერგეევი, მსუბუქად დაშავდნენ: პოლონეთის საქმეთა რწმუნებული მოსკოვში ბ. სოკოლნიცკი, სტრატოსტატ „სსრკ“-ის გონდოლის ცნობილი კონსტრუქტორი, პროფ. ჩიჟევსკი, მისი მოადგილე ინჟინერი კაშტანოვი და შოფერი მარამჯანოვი. დაზარალებულნი დაუყოვნებლივ მიიყვანეს ბოტკინის საავადმყოფოში, სადაც მათ საექიმო დახმარება აღმოუჩინეს. ბ-ნ კალუსკის, რომელსაც მძიმედ დაუზიანდა თავის ქალა, დაუყოვნებლივ გაუკეთეს ოპერაცია, ბ-ნ კალუსკის და სერგეევის მდგომარეობა მეტად სერიოზულია.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მიერ მიღებული პირველი ცნობების თანახმად, უბედური შემთხვევა შემდეგ პირობებში მოხდა:

პოლონეთის საქმეთა რწმუნებული ბ. კალუსკის, კომერციული მრჩევლის ბ. ემიგროცკის და მისი თანაშემწის ბ. ლაგოდას თანხლებით ავტომობილით მიდიოდა აეროდრომზე, სადაც უნდა შეხვედროდა სტალინგრადში დაშვებულ პოლონეთის აეროსტატის აერონავტებს, რომლებიც თვითმფრინავით მოდიოდნენ. ლენინგრადის გზატკეცილზე, საკონდიტრო ფაბრიკა „ბოლშევიკის“ მახლობლად, პოლონეთის საელჩოს ავტომობილი, როცა მას დაახლოებით 60 კილომეტრის სისწრაფით უნდოდა შემოევლო გზატკეცილის კიდესთან მდგომი სატვირთო მანქანისათვის, დაეჯახა ხსენებული ფაბრიკის მუშას ამხ. სერგეევს, რის შემდეგ სწრაფად მიუხვია მარცხნივ და დაეჯახა მეორე მხრიდან მომავალ პროფ. ჩიჟევსკის ავტომობილს. პოლონეთის საელჩოს ავტომობილი უმნიშვნელოდ დაზიანდა და თვალის გამოცვლის შემდეგ მან შეძლო საავადმყოფოში წაეყვანა დაშავებული. პროფესორ ჩიჟევსკის ავტომობილი ძალიან დამტვრა და იგი საბარგო მანქანით წაიღეს.

შეიტყვეს თუ არა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ამ უბედური შემთხვევის ამბავი, ბოტკინის საავადმყოფოში დაუყოვნებლივ გაემგზავრა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დასავლეთის პირველი განყოფილების გამგე ამხ. ფლენერი, რომელმაც საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელით თანაგრძნობა გამოუცხადა პოლონეთის საქმეთა რწმუნებულ ბ. სოკოლნიცკის (ადს).

ფიზკულტურელ კომკავშირელთა დაღუპვა

ლენინგრადი, 19 სექტემბერი. („პრავდის“ კორესპონდენტისაგან). ლენინგრადის ტელეფონის ქარხნის „კრასნაია ზარიას“ მუშებმა მიიღეს დეპეშა, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ქარხნის სამი ახალგაზრდა მუშა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ლენინგრად-ხაბაროვსკის მარშრუტით ქვეითად გადასვლაში. ამ გადასვლაში, რომელიც 1 მაისს დაიწყო, მონაწილეობას იღებდა ექვსი გასაწვევი კომკავშირელი—„კრასნაია ზარიას“ მუშები. მათ უკვე განვლეს 7.100 კილომეტრი. (მთელი მარშრუტის სიგრძე 9 ათას კილომეტრს უდრის).

იზვესტკოვი—შევიას გადასარბენზე (ზაბაიკალიეს რკინიგზა) 18 სექტემბერს, დილის 3 საათზე, მოსახვევიდან მოულოდნელად გამოვარდნილმა მატარებელმა გასრისა კომკავშირელები ვლადიმერ ვასილიევი (გადასვლის პოლიტხელი), ალექსანდრე ნოსოვი და პაველ ბრინხანოვი.

როგორც უფროსი სადგურის პარტორგანიზატორის ამხ. კისელიოვის დეპეშიდან ჩანს, გადასვლის მონაწილეთა ტრაგიკულად დაღუპვა გამოიწვია იმან, რომ მემანქანე ბერგულ მატარებელი ხულიგნურად მიჰყავდა: ძალიან სწრაფი სვლის დროს მას მოსახვევში საყვირით სიგნალი არ მიუცია. ბერგული დაპატიმრებულია.

დაღუპულთა ცხედრები დასაკრძალავად ჩიტაში წაასვენეს.

ქარხანა „კრასნაია ზარიაში“ შედგა სამგლოვიარო მიტინგი. მუშები მოითხოვენ, სასტიკად დაისაჯოს ხულიგანი მემანქანე, რომელმაც დაღუპა ქარხნის საუკეთესო დამკვრელები—წითელი არმიის მომავალი მეომრები.

ქარხნის ორგანიზაციებმა მატერიალური დახმარება აღმოუჩინეს დაღუპულთა ოჯახებს.

ლენინგრადის საბჭომ გადასწყვიტა დაღუპულ გმირ კომკავშირელთა ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებმაც ჩაატარეს ისტორიაში უმაგალითო გადასვლა ლენინგრად-ხაბაროვსკის მარშრუტით, მათ სამშობლო ქალაქ ჩიტაში ძეგლი დადგას. დაღუპულთა ოჯახებს ლენინგრადის საბჭო ერთდროული დახმარების სახით აძლევს სამ-სამი ათას მანეთს (ადს).

რიუმინის გამარჯვება

სტოკჰოლმი, 18 სექტემბერი. ჭადრაკის დარგში მოსკოვის ჩემპიონის რიუმინის მეორე ერთსადაიმავე დროს თამაში კოპენჰაგენში 30 მოგებით და ერთი წაგებით დამთავრდა. იქვე მოწინააღმდეგესთან თამაში ყაიმით დამთავრდა. თამაშის დამთავრების შემდეგ რიუმინს ოვაციები გაუმართეს. (ადს).

ლასკერის საჭადრაკო მატჩი ჩრდილო-კავკასიის მტს-ების მუშებთან

პიატიგორსკი, 17 სექტემბერი. ლასკერი ერთდროულად ეთამაშა 17 მოჭადრაკეს—ჩრდილოეთ კავკასიის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშებს. მატჩმა 3 საათს გასტანა. ლასკერმა წააგო პიონერსკაიას მტს-ის მუშაკ კნიაზევთან. 15 პარტია მოიგო ხოლო ერთი ყაიმით დაამთავრა.

„მეორე ხუთწლედის სესხის“ მე-8 ტირაჟი

ნიჟნი-ტაგილი, 19 სექტემბერი. გუშინ დამთავრდა „მეორე ხუთწლედის სესხის“ (პირველი წლის გამოშვების) მე-8 ტირაჟი. სამ-სამი ათასი მანეთის მოგება ხვდა ობლიგაციების შემდეგ სერიებსა და ნომრებს: 03841 — 49, 09542 — 04, 12883—29, დაიწყო „მეორე ხუთწლედის სესხის“ (მეორე წლის გამოშვების) მე-3 და მე-4 ტირაჟები.

ოთხი ბავშვი ტყუპად

არხანგელსკი, 19 სექტემბერი. სამხარეო აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ ჩერევკოვსკის რაიონიდან მიიღო ცნობა, რომ ხიტყის ქარხნის მემანქანის საზონოვის ცოლს ერთად ეყოლა 4 ბავშვი—სამი ქალი და ერთი ვაჟი. დედა თავს კარგად გრძნობს. ამხ. საზონოვის ოჯახს სამხარეო ჯანგანყოფილებამ ფულადი დახმარება აღმოუჩინა.

მანდარინის ხე ნაყოფით. (ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა ქობულეთის რაიონში).

სასკოლო ბაზრობაზე

სასკოლო ბაზრობის პირველ ხუთ დღეს სავაჭრო ორგანიზაციების უმრავლესობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა საქონელბრუნვის გეგმას. ფართოდ გაიშალა ვაჭრობა საქვაჭრობის მაღაზიებში, რომლებმაც ხუთდღიურში ივაჭრეს 200 ათასი მანეთი, გეგმით გათვალისწინებულ 135 ათასი მანეთის ნაცვლად. ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირმა უკანასკნელ დღეებში მაღაზიები საბავშვო ასორტიმენტის საქონლით შეავსო და გაადიდა საქონელბრუნვა 185 ათას მანეთამდე, რაც გეგმის 140,8 პროცენტს უდრის. სავაჭრო გეგმები შეასრულეს აგრეთვე საქწიგნვაჭრობამ, სარეწაო კავშირმა, სახელგამმა და სხვა ორგანიზაციებმა.

საქვებვაჭრობამ 15 სექტემბრიდან სკოლებში გაგზავნა მოძრავი ჭალაზიები ავტომობილებზე და 17 ხელით დამტარებელი საკონდიტრო ნაწარმით.

სასკოლო ბაზრობა უზრუნველყოფილია ფეხსაცმელით, სამკერვალო ნაწარმით და ტრიკოტაჟით. საკმაოდ არ არის კალოშები, ვინაიდან საქ. რეზინტრესტის სახელზე გამოგზავნილი ტვირთი ჯერ კიდევ არ არის მიღებული ტფილისში.

იშვიათი ანომალია

ქუთაისი, 20 სექტემბერი. რვა წლის გოგონას თინა მამარდაშვილს (სოფ. გეგუთი, ქუთაისის რაიონი) სამედიცინო შემოწმების დროს აღმოაჩნდა საკმაოდ იშვიათი ანომალია — შინაგანი ორგანოების არასწორი განლაგება. გული და ელენთა ბავშვს მოთავსებული აქვს მარჯვენა მხარეს, ხოლო ღვიძლი—მარცხნივ.

ამ ანომალიის აღმომჩენ ექიმ კოკოჩაშვილის განცხადებით, ბავშვი სავსებით ჯანსაღია, მისი გონებრივი და ფიზიკური განვითარება ნორმალურია. ბავშვი აყვანილია მუდმივ საექიმო მეთვალყურეობაზე.

ყარა-კალპაკიის მწერალთა ბრიგადის გამგზავრება

ყარა-კალპაკიის მწერალთა ბრიგადა, რომელიც ამ დღეებში ჩამოვიდა ტფილისში, ესტუმრა საქართველოს მწერალთა კავშირს. ბრიგადის წევრებს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდათ ქართველ მწერლებთან. სტუმრები გაეცნენ საქართველოს მიღწევებს კულტურის დარგში, დაათვალიერეს ძველი და ახალი ქალაქი, იყვნენ აგრეთვე ბორჯომში.

16 სექტემბერს ყარა-კალპაკიის მწერალთა ბრიგადა საქართველოს სამხედრო გზით ლენინგრადში გაემგზავრა.

ბათომი მწვანე ნარგავებში

ბათომი მწვანე ნარგავებში ეხვევა. აქ ყოველწლიურად იზრდება სკვერების ფართობი. სრულიად შეიცვალა სანაპირო ქუჩის სახე. ზღვის ნაპირის გასწვრივ 520 მეტრის მანძილზე გაშენებული პარაპეტ - ბალუსტრადით, სანაპირო სკვერებით, ჩელუსკინელთა ბაღით, ახალი სახომალდო კანტორით და მხატვრულად მორთული შენობებით—ეს ადგილი ბათომის ერთერთ ულამაზეს კუთხედ იქცა.

სურათზე: ჩელუსკინელთა სკვერი და (ლეიტ. შმიდტის ქუჩა) ზღვის ნაპირის გასწვრივ.

ხელოვნება

დაიხურა სიმფონიური კონცერტების სეზონი ბორჯომში

14 სექტემბერს ტფილისის სახ. სიმფონიურმა ორკესტრმა დაამთავრა თავისი მუშაობა ბორჯომში.

ორკესტრმა სეზონი გახსნა 16 ივნისს. სეზონის განმავლობაში მოწვეული იყვნენ აგრეთვე მოსკოვისა, ლენინგრადის და სხვა ქალაქების მუსიკოსები.

მთავარ დირიჟორად მოწვეული იყო ევგენი მიქელაძე, დირიჟორებად მუშაობდნენ პირადოვი (სვერდლოვსკი), ფრიდლენდერი (ლენინგრადი), გველესიანი და ახალგაზრდა დირიჟორი ვ. ნეიმანი.

სიმფონიურ ორკესტრთან გამოდიოდნენ მოსკოვის და ტფილისის ოპერის საუკეთესო მსახიობები. ზაფხულის პერიოდში გამოვიდნენ დ. ბადრიძე, მოსკოვის დიდი თეატრის მომღერალი ანდღულაძე, ტფილისის ოპერის მომღერლები: ფ. მუხტაროვა, ამირანაშვილი, ყვარელაშვილი, გერმესაშვილი და სხვ.

ორი სიმფონიური კონცერტი გაიმართა თვით მუსიკოსების დირიჟორობით. ამ კონცერტების მიზანი იყო ორკესტრში ახალგაზრდა დირიჟორთა კადრის გამოვლინება. ახალგაზრდა დირიჟორებიდან გამოირჩეოდა ლევ. ამიროვი.

დამსვენებლების გარდა ორკესტრი მომსახურეობას უწევდა სამხედრო ნაწილებს და ადგილობრივ საწარმოებს.

უკანასკნელი კონცერტი გაიმართა 14 სექტემბერს ევგ. მიქელაძის დირიჟორობით და მომღერალ მ. ყვარელაშვილის მონაწილეობით.

კონცერტის ბოლოს მაყურებლებმა მქუხარე ტაშით და თაიგულებით დააჯილდოეს როგორც დირიჟორი, ისე მთელი ორკესტრის შემადგენლობა.

ლ. ლ.

კინო

„სევანის ნაპირებზე“

უახლოეს დროში საქკინო ეკრანზე გამოუშვებს ახალ კინო-ნარკვევს—„სევანის ნაპირებზე“. კინო-ნარკვევი გადაიღო „სოიუზკინოქრონიკის“ გამსვლელმა ბრიგადამ, რომელიც იქ გაემგზავრა ამხ. ვოროშილოვის სახელობის სპეციალური კინო-მატარებლით.

ნარკვევში გადაღებულია ტბის ხედი, ისტორიული ძეგლები მის სანაპიროებზე, სევანის კალმახის ჭერა და სხვ.

ნარკვევის რეჟისორია ამხ. სნეჟინსკაია, ოპერატორი- ამხ. ტროიანსკი.

კინო „დამკვრელში“ დგამენ უახლეს სახმოვანო მოწყობილობას

საქ. სახკინომრეწვი აწარმოებს კინოთეატრ „დამკვრელის“ გახმოვანებას. თეატრში დგამენ უახლესი კონსტრუქციის სახმოვანო მოწყობილობას.

ახალი ხმოვანი კინო-თეატრის გახსნისას ნაჩვენები იქნება „სოიუზკინოქრონიკის“ ერთ-ერთი საუკეთესო გამოშვება—„ბედნიერი ახალგაზრდობა“ (ფიზკულტურელთა პარადი 30 მაისს მოსკოვში). ეს ფილმი გადაიღო 36 ოპერატორმა რეჟისორ კაუფმანის ხელმძღვანელობით.

საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება

საბიბლიოთეკო ფონდის დაცვისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. პასუხისმგებლობა საბიბლიოთეკო წიგნების ფონდების დაცვისათვის ეკისრებათ იმ სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელთ, რომელთა უშუალო გამგებლობაშიაც ბიბლიოთეკებია, და აგრეთვე ბიბლიოთეკების დირექტორებს (გამგეებს).

2. ეკრძალება ყველა დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას ბიბლიოთეკის გამოსახლება დაჭერილი სადგომიდან და სხვა, წინანდელზე უარეს უხეირო სადგომში გადასახლება.

3. თანამდებობის პირი, რომელმაც თავისი არასწორი მოქმედებით (თუ უმოქმედობით) მიაყენა ბიბლიოთეკას ზიანი (წიგნების გაფუჭება, დაკარგვა, განფანტვა, მოსპობა, აგრეთვე ბიბლიოთეკის გადაყვანა მისი მუშაობისათვის აშკარად უვარგის სადგომში, წიგნების უკანონო ჩამორთმევა ან მაკულატურად გამოყენებისათვის გადაცემა და სხვა მისთ), მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად და იგი მოვალეა აუნაზღაუროს ბიბლიოთეკას მიყენებული მატერიალური ზიანი.

4. ყველა ის პირი, რომელიც სარგებლობს წიგნებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ბიბლიოთეკიდან, პასუხს აგებს მატერიალურად წიგნების დაცვისა და ბიბლიოთეკაში დაბრუნებისათვის. წიგნის გატაცებისა, განზრახ გაფუჭებისა ან დანაშაულებრივ-დაუდევარი მოპყრობისათვის დამნაშავე პირი მიიცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით და, ამის გარდა, მოვალეა აუნაზღაუროს ბიბლიოთეკას მის მიერ მიყენებული მატერიალური ზიანი.

5. უკეთუ მე-4 მუხლში აღნიშნული მოქმედება ჩაიდინა მშრომელმა პირველად და ბიბლიოთეკას სერიოზული ზიანი არ მიაყენა, ამასთანავე უკეთუ გატაცებული ან გაფუჭებული წიგნი შეიძლება დაუბრკოლებლად შეიცვალოს ახალი ეგზემპლარით, საქმე ასეთი პირის შესახებ შეიძლება გადაეცეს განსახილველად სათანადო საზოგადოებრივ სასამართლოს (საწარმოს, საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს, სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოს და სხვა მისთ.).

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატს, საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატთან ერთად, გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
ა. ქავთარაძე.

1935 წ. აგვისტოს 25.
№ 1135.
ტფილისი.

შემთხვევები

# **გაუფრთხილებელი ხვლა.** შაუმიანის ქუჩაზე ავტომობილი № 10—46, რომელსაც შოფერი ა. ი. კულაგინი მართავდა, დაეჯახა საბარგო ავტომანქანას № 14—49 (შოფერი ფ. მ. დამინსკი). ორივე მანქანა დაზიანდა, არავინ დაშავებულა.

# **ქურდობა.** სატრიკოტაჟო სახელოსნო „საქტრიკოტაჟიდან“ ტრიკოტაჟის ნაწარმის სისტემატურად ქურდობისათვის შეიპყრეს ლ. ო. ოგანეზოვი.

# **დაპატიმრება.** მილიციამ შეიპყრო შ. ი. ჩოჩიევი, რომელსაც მისჯილი აქვს ორი წლით იძულებითი მუშაობა; ვ. მ. ლუდუშაური (იგივე ჯაბანაშვილი), —მისჯილი აქვს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა; მ. პ. მამიკონოვი მისჯილი აქვს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. სამივე ემალებოდა სასჯელის მოხდას.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპგანყოფილება წინადადებას აძლევს გაზ. „კოლექტივიზაციის“ ყოფილ თანამშრომლებს ამხ. ვლ. თორდუას და შალ. ცინცაძეს გამოცხადდნენ კულტპროპგანყოფილებაში ამხ. ენუქიძესთან.

სახელმწიფო ოპერის
თეატრი
აბონემენტების გაცემა
შემოტანილი განცხადების მიხედვით წარმოებს ყოველდღე. დილით 10—2 საათ., საღამოს 6—10 საათ. 20 სექტემბერს № 1-დან 50-მდე; 21 სექტემბერს № 51-დან 100-მდე; 22 სექტემბერს № 101-დან 150-მდე; 23 სექტემბერს № 151-დან 200-მდე. ვინც აბონემენტებს აღნიშნულ ვადებში არ გამოისყიდის, ჰკარგავს თავის რიგს.
განაცხადის მიღების უკანასკნელი ვადა 25 სექტემბერი. 350

მარჯანიშვილის
სახელობის
თეატრი
1935/36 წ. სეზონისათვის გამოშვებული
მუდმივი ადგილები
50% ფასდაკლებით. დანაწილვადება 6 შემოსატანად. ხელშეკრულებების დადება, ცნობებისა და მუდმივ ადგილების წიგნაკების მიღება, დღემდე დადებულ ხელშეკრულებებით ხეიძლება თეატრის ბუხალტერიაში დილის 11—2 ს. 354

მარჯანიშვილის
სახელობის
თეატრი
თეატრთან არსებულ სტუდიაში
მისაღები გამოცდები
დანიშნულია 30 სექტემბერს, დღის 12 საათზე.
სტუდიაში მიიღებიან ახალგაზრდები საშუალო განათლებით, 17 დან 25 წლამდე.
განცხადებები მიიღება თეატრის კანცელარიაში დილის 11—2 საათამდე.

ოქტომბერი
6-30, 8-30, 10-30
დამკვრელი საზ. საზაფხ.
6-30, 8-30, 10-30
ტემპი (საზაფხ.) ხმოვანი
5-30, 7-15, 9, 11
ავრორა (საზაფხ.)
8, 9-45, 11-15
„26“-ის კომ. სახ.
7, 8-30, 10
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში). 8-15, 10-15

იმპორტული ფილმი ჰეპო
დადგმის მეორე თვე
საზამთ.—სახლ. გარ. ხმოვ. სურ. პეტრ. (პეტერ)
საზაფხ.—რიაზანელი დედაკაცები
ხმოვანი ფილმი ჰეპო დადგმის მე-2-ე კვირა
მცდარ კვალზე მე-2 სერია.
პროგრ. გარეშე ფიზიოლოგთა მე-15 კონგრესი
საზამთ.—კაინი და არტემი
საზაფხ.—მხატვ. სურათი მთის კანონი
მე-3 სერია. მცდარ კვალზე

საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
აცხადებს მცენარეთა დაცვის ფაკულტეტის 1933 წ. და 1935 წ. კურსდამთავრებულთა საყურადღებოთ, რომ სადიპლომო შრომების დაცვა იწარმოებს ა/წ. 15 ნოემბრიდან 1-ლ დეკემბრამდე.
სადიპლომო შრომების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1-ლი ნოემბერი.
9529 სას. სამ. ინსტ-ის დირექტორი პროფ. ან. ბუაჩიძე.

ვამზადებთ მოწაფეებს
10 წლ. 7 წლ. საექსტერნო გამოცდებისათვის, ვამზადებთ აგრეთვე ბუხჰალტრის და მოანგარიში თანამდებობისათვის
კარგარეთელის ქ. № 3 (კინო „ოქტომბერი“-ს მახლობლად) დილ. 10 საათამდე. საღ. 4—7 ს. 9461

ვყიდი ახალ ველოსიპედს
„უკრაინკა“
პირველი გამოშვება, მონიკელებული.
პირობების გ გ ბა „კომუნისტის“ მთავარ კანტორაში, რუსთაველის, 34. უფ.

ექიმი ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად.
მიღება დილ. 8—9 ს. და საღ. 6—8 საათ.
მისამართი: კამოს ქ. № 72. 9291

ვლადიმერ ცომაია, მისი ცოლი ლინა, შვილი სერგო, რძალი ტერეზა მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს მათთვის საყვარელ დედის
მინადორა (მინა) დიმიტრის ასულ
შუშანიას
გარდაცვალებას, დაკრძალვა 21 სექტემბერს ქ. ახალსენაკში. 9532

აკაკი და მისი ცოლი დინა მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს პირველის საყვარელი დედის და მეორის დედამთილის
მინადორა (მინა) დიმიტრის ასულ
შუშანიას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21 სექტემბერს ქ. ახალსენაკში. 9532

24 სექტემბერს 1 საათზე ავლაბრის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი
გიორგი (გოგა) ივანეს-ძე მიქაძის
ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც იუწყებიან გაუბედურებული მშობლები: ივდითი მახარობელის ასული, ივანე როსტომის-ძე შვილებით: თამარი, ელენე. 9531

ძმები: მიშა, საშა, ვანო დები: მერი, ნუნუ აჯიბეგიშვილები, სიძე სერგო პიპინაძე შვილი ლეილათი მწუხარებით იუწყებიან ბიძის
ნიკო სპირიდონის-ძე
თვალიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21 სექტემბერს გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურიდან 6 ს. 9535

დედა ეკა, შვილები: ვენერა, პლანეტა, ბიჭიკო, ადამელა, კაკო, სიძეები: ექ. ვლ. მიქაძე, ექ. კ. კიკალიშვილი შვილებით დავსტირით უდროოდ დაკარგულ
მელექსა გიგოს-ძე გორდელაძეს
დაკრძალვა 22 სექტემბერს ლიხაურში (მახარაძე). 9536

კიროვის სახ. ა.-კ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის ელექტროტექნიკური ფაკულტეტის მე-13 ჯგუფის დიპლომანტები ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ჯგუფის სტუდენტ-დიპლომანტ
მიხეილ პორფირესძე ჯორბენაძის
დაკარგვის გამო. 9533

მოზარდ მაყურებელთა თეატრი იუწყება ამავე თეატრის მსახიობის თამარა თვალიაშვილის მამის
ნიკოლოზ სპირიდონის-ძე
თვალიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21 სექტემბერს, საღამოს 6 ს. გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან. 9539

არისტარხ თოფურია, მამა დიმიტრი, მეუღლე კატუშა და შვილები: გივი, ნოდარი, მედეა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას
შენიკო (მარიამ) თოფურია
ჯიქიას ასულის
გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 22 სექტემბერს, სოფ. ნატებერაში. 9540

დედა ლეონინა და ქმარი ჭიჭიკო გელეიშვილი იუწყებიან, რომ 24 სექტემბერს, დღის 1 საათზე, ქუთაისში, მწვანეყვავილას სასაფლაოზე
ექიმ ნადია ივანეს ასულ ჩირაძის
ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 9538

ტფილისის მეთერთმეტე საშუალო სკოლის პედაგოგიური პერსონალი ღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს ამავე სკოლის მასწავლებლის
ოლია კიკაჩეიშვილის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 9534

მშობლები: ოლია, ვასო, ბებია მაშო, ბაბუა ერასტი მამიდები: კატუშა, ელენე, ტასიკო, ტატიანა, ბიძა სანდრო ცოლშვილით არონიშიძეები იუწყებიან
პატარა მაყვალას
გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. მახარაძეში 1-ლ ყაზარმის ქ. № 2. 21 სექტემბერს. 9536

მეგობრები: გენო ტატიშვილი, შურა პერვუშინი, თეოფილე თევდორაძე, პლატონ კიკნაძე, მიშა კუპრაშვილი, გრიშა ტიგეტაშვილი, ხერუმოვი, კოლია თურქაძე, როსსი, აველტკიანი, კოჩლავაშვილი, გუკალოვი და მინაშვილი იუწყებიან
მიშა ჯორბენაძის
გარდაცვალებას. 9533

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №84. ტელეფონები: რედაქტორის 3—62—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 3—08—67, ხამდივნოს 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტ. მშენებლობის განყოფილების 3—67—61, სამრეწველო განყოფილების—3—72—40, სტამბის 3—27—04. გამომცემლობის—3—61—81 ხელთნაწერებს რედაქცია არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული ბ 8523